ქ.გურჯაანი

# ხელშეკრულება № 186
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2019 წლის 24 ივნისი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ს/კ 227765022), მისი მერის არჩილ ხანდამაშვილის სახით (შემდგომში წოდებული შემსყიდველად) და მეორეს მხრივ, სს „გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (ს/კ 227716068), მისი დირექტორის ალექსანდრე დათუკიშვილის სახით (შემდგომში წოდებული მიმწოდებელად), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 გრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების (FORD TRANZIT, სახელმწიფო №LML - 246) მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების - ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების მომსახურეობა; cpv კოდი 71600000; 71630000

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **100 (ასი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) მომსახურეობის მიღების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურეობის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მომსახურეობა სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

### 5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში; მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### 6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური.

### 7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და მიღება-ჩაბარების აქტს;

### 8. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. გურჯაანში, სარაჯიშვილის ქ. №45-ში.

8.2. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 25 აგვისტომდე.**

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 24 ივნისიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 ნოემბრამდე.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

გურჯაანის მუნიციპალიტეტი; ქ.გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. N13; ს/კ 227765022; ხაზინის ერთიანი ანგარიში; TRESGE22. ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022.

**მიმწოდებელი:**

სს „გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმო"; ს/კ 227716068; ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ. №45; სს „საქართველოს ბანკი"; ბ/კ BAGAGE22; ანგარიშის №GE30BG0000000000889958101.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| გურჯაანის მუნიციპალიტეტი | სს „გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმო" |
| მერი | დირექტორი |
| არჩილ ხანდამაშვილი | ალექსანდრე დათუკიშვილი |

Gurjaani Municipality

Digitally signed by Gurjaani Municipality
Date: 2019.06.24 16:23:28 +04'00'

# ინტერესთა კონფლიქტის
# ოქმი

ქ. გურჯაანი

2019 წელი 24 ივნისი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების (FORD TRANZIT, სახელმწიფო №LML-246) მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების, შესაბამისობის დადგენის მიზნით გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების - ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების მომსახურეობის (ღირებულებით 100 ლარი) შესყიდვის განხორციელებაში, სს „გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოსთან" (ს/კ 227716068) მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

არჩილ ხანდამაშვილი — გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი;

ვლადიმერ მუსალბიშვილი — ეკონომიკის სამსახურის უფროსი.